



საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

გადაწყვეტილება

N გ-20-19/155
20/02/2020

155-გ-20-1-4-202002201017



„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 25 მარტის 144/22 გადაწყვეტილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ცნობისა და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის 11 თებერვლის N95/19 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიის 2016 წლის 11 თებერვლის N95/19 გადაწყვეტილებით ნაწილობრივ ძალადაკარგულად იქნა ცნობილი 2011 წლის 25 მარტის N144/22 გადაწყვეტილება და დამტკიცდა ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი ან/და ავტორიზებული პირების მიერ კომისიაში წარმოსადგენი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები და ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელ ან/და ავტორიზებულ პირებს დაევალებათ ამავე გადაწყვეტილების დანართი N1-ით განსაზღვრული სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების შევსება და კომისიაში წარმოდგენა გადაწყვეტილებაში მითითებული პერიოდულობით.

კომისია აღნიშნავს, რომ “ნუმერაციის რესურსის გაცემის, გამოყენებისა და ანგარიშსწორების წესებში” 2019 წლის დეკემბერში შევიდა ცვლილება და M2M/IoT დანიშნულებით გაიცემა ცალკე ნუმერაციის რესურსი. აღნიშნულიდან და კომისიის კანონისმიერი ფუნქციებიდან გამომდინარე, მათ შორის ბაზრის ანალიზის მომსახურებების და სხვადასხვა სეგმენტის ჭრილში ანალიზის მიზნით, გამოიკვეთა არსებული ელექტრონული ანგარიშგების ფორმების სრულყოფის საჭიროება. კერძოდ:

1. მობილური მომსახურებებისთვის განკუთვნილ ფორმებში მომსახურების/კლასიფიკატორის M2M/IoT ცალკე გამოყოფა;



2. მობილური მომსახურებების შემოსავლების ძირითადი მაჩვენებლების მომსახურებების ჭრილში განსაზღვრისა და გაანგარიშების მიზნით (MOU, ARPU) ფორმა 2.19 -ში ცვლილების შეტანა. კერძოდ, ავტორიზებულმა პირებმა თავად შეავსონ აღნიშნული ველი კომისიის მიერ დანართში 1-ში მოცემული მეთოდოლოგია 1-ის მიხედვით. ამასთან, აღნიშნული ფორმის შევსება, წლიური ანგარიშის მიზნებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია განხორციელდეს 2019 წლის პერიოდზე, რათა კომისიამ შეძლოს შესაბამისი მომსახურების სეგმენტების სრულფასოვანი ანალიზი. აღნიშნულის შესრულება არ გამოიწვევს დამატებით ტვირთს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის, მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის და მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის თანახმად კომისიამ კენჭისყრის შედეგად:

გადაწყვიტა:

1. შევიდეს ცვლილება „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 25 მარტის 144/22 გადაწყვეტილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ცნობისა და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ კომისიის 2016 წლის 11 თებერვლის N95/19 გადაწყვეტილებაში და მისი დანართი-1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;
2. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. ელექტრონული ანგარიშგების ფორმა 2.19 -ში მონაცემები შევსებული იქნას 2019 წლის იანვრის პერიოდიდან;
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6) ერთი თვის ვადაში;
5. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას (ო. ვოტ) წინამდებარე გადაწყვეტილების კომისიის ვებ-გვერდზე (www.gncc.ge) გამოქვეყნება.

დანართი 1

ფორმა 1. ზოგადი მონაცემები

ფორმა 1.1. შემოსავლები

ივსება ყოველთვიურად, შესაბამისი პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღისა,

(თუ საანგარიშო პერიოდში არ მიგიღიათ შემოსავალი, მაშინ მომსახურების კატეგორიაში მიუთითეთ „სხვა არასაკომუნიკაციო შემოსავალი“, შემოსავალში - 0)

ველი	განმარტება
მომსახურება	იხ. კლასიფიკატორი 1
მომსახურების ქვეკატეგორია	იხ. კლასიფიკატორი 1
შემოსავალი	შესაბამისი შემოსავალი. როგორც 1.1, ისე ყველა სხვა ფორმაში: <ol style="list-style-type: none">1. შემოსავლის ველის მნიშვნელობა ყოველთვის მიუთითეთ ლარებში, დღგ-ს და აქციზის გარეშე.2. თუ მოწყობილობა ფიზიკურ ან/და პროგრამულ დონეზე ადაპტირებულია თქვენს ქსელზე, მისი რეალიზებიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს სატელეკომუნიკაციო მომსახურებით მიღებულ შემოსავლად, წინააღმდეგ შემთხვევაში - არა.3. გრანტი - ოფიციალური უსასყიდლო ტრანსფერტი, რომელიც მოიცავს როგორც მიმდინარე, ასევე კაპიტალურ ტრანსფერტებს და გააჩნია მიზნობრივი ხასიათი, უნდა იქნას აღიარებული შემოსავლად.

დღგ	შესაბამისი დღგ- როგორც 1.1, ისე ყველა სხვა ფორმაში, დღგ-ს კალკულაციისას გაითვალისწინეთ, რომ 1. ამ გრაფას ავსებთ იმ შემთხვევაში, თუ ხართ დღგ-ს გადამხდელი 2. თუ თქვენ ხართ დღგ-ს გადამხდელი, მაგრამ შემოსავალი მიიღეთ კომპანიისგან, რომელიც გათავისუფლებულია დღგ-სგან, მაშინ მიღებულ შემოსავალს არ ერიცხება დღგ
აქციზი	შესაბამისი აქციზი როგორც 1.1, ისე ყველა სხვა ფორმაში, გაითვალისწინეთ, რომ ამ გრაფას ავსებთ მარტო შემთხვევაში, თუ მითითებული მომსახურება ექვემდებარება აქციზის გადახდას.

ფორმა 1.2. თანამშრომლები
ივსება წელიწადში ერთხელ შესაბამისი პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 20
კალენდარული დღისა

ველი	განმარტება
სრული შტატის თანამშრომლების რაოდენობა	წლის ბოლო თვის მდგომარეობით.
სრული შტატის თანამშრომელი ქალების რაოდენობა	წლის ბოლო თვის მდგომარეობით.

ფორმა 1.3. ინვესტიციები და სალიცენზიო გადასახადები
ივსება წელიწადში ერთხელ შესაბამისი პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 20
კალენდარული დღისა
ფორმას ავსებენ მხოლოდ ის კომპანიები რომელთა წლიური შემოსავალი აღემატება 1,000,000
ლარს

ველი	განმარტება
დარგი	ელექტრონული კომუნიკაციები მაუწყებლობა სხვა
ინვესტიციის ოდენობა (სალიცენზიო გადასახადების გარეშე)	ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში ასეთი ფასეულობა ან უფლება შეიძლება იყოს: ა) ფულადი სახსრები, წილი, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები; ბ) უძრავი და მოძრავი ქონება - მიწა, შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები და სხვა მატერიალური ფასეულობა; გ) მიწით ან სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლება (მათ შორის კომპენსაცია), პატენტი, ლიცენზია, "ნოუ-ჰაუ", გამოცდილება და სხვა ინტელექტუალური ფასეულობა; დ) კანონით აღიარებული სხვა ქონებრივი ან ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება.

	<p>წყარო: საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ, მუხლი 1</p> <p>თანხა მიუთითეთ ლარებში.</p>
<p>პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI)</p>	<p>საერთაშორისო საინვესტიციო საქმიანობის კატეგორია, რომელიც გულისხმობს ერთი ქვეყნის რეზიდენტის მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოში წილის ფლობას და ამ საწარმოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა ეკონომიკური ხასიათის ოპერაციების წარმოებას. პირდაპირი ინვესტიციები მოიცავს არა მხოლოდ კაპიტალის ჩადების საწყის ოპერაციას, არამედ ყოველ შემდგომ ოპერაციას პირდაპირ ინვესტორსა და პირდაპირი ინვესტირების საწარმოს შორის.</p> <p>წყარო: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) გაანგარიშების მოკლე მეთოდოლოგია და პრაქტიკა საქართველოში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური</p> <p>თანხა მიუთითეთ ლარებში.</p> <p>შენიშვნა: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები = შემომავალი ნაკადები - ინვესტორების მიმართ ვალდებულებების შემცირება</p> <p>შემომავალ ნაკადებში იგულისხმება:</p> <ul style="list-style-type: none"> • ინვესტიციები სააქციო კაპიტალში (კაპიტალის ჩადების როგორც საწყის, ასევე შემდგომ ოპერაციებსაც) • რეინვესტიცია (დივიდენდების განაწილებაზე უარის თქმის სახით) <p>ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირებაში იგულისხმება:</p> <ul style="list-style-type: none"> • დივიდენდების გაცემა • სესხისა და პროცენტის თანხის გადახდა
<p>სალიცენზიო გადასახადები</p>	<p>წლის განმავლობაში რადიოსიხშირული სპექტრის სარგებლობის სალიცენზიო გადასახადების ოდენობა</p> <p>თანხა მიუთითეთ ლარებში.</p>

ფორმა 1.11. კაპიტალური ინვესტიცია

ივსება წელიწადში ორჯერ, წელიწადის პერველი და მეორე ნახევარის შესაბამისი პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღისა;

ფორმას ავსებენ მხოლოდ ის კომპანიები რომელთა წლიური შემოსავალი აღემატება 1,000,000 ლარს

ველი	მნიშვნელობა
მომსახურება	<ul style="list-style-type: none"> - ფიქსირებული სადენიანი მომსახურების ქსელი; - ფიქსირებული უსადენო მომსახურების ქსელი; - მაუწყებლობის ტრანზიტული მომსახურება (შენიშვნა: უშუალოდ მაუწყებლობის ტრანზიტულ მომსახურების განვითარებისთვის გაწეული კაპიტალური ინვესტიცია. აღნიშნული ინვესტიცია არ უნდა მონაწილეობდეს ზედა ორ კატეგორიაში); - მობილური საკომუნიკაციო ქსელი;

	<ul style="list-style-type: none"> - მაუწყებლობა (ტელევიზია, რადიო); - სხვა
მომსახურების ქვეკატეგორია	<ul style="list-style-type: none"> - ფიზიკური ინფრასტრუქტურა (შენიშვნა: ქვეკატეგორია არ ეხება მაუწყებლობის ტრანზიტულ მომსახურებას, მაგრამ ფიქსირებული სადენიანი მომსახურების ქსელით მომსახურებისთვის ეს ქვეკატეგორია უნდა მოიცავდეს მაუწყებლობის ტრანზიტის ქსელის განვითარებაში განხორციელებულ კაპიტალურ ინვესტიციას); - აპარატურა; - პროგრამული უზრუნველყოფა; - მაუწყებლობის კონტენტი (ლიცენზიის საფასურის ჩათვლით) (შენიშვნა: ეხება მხოლოდ მაუწყებლობას (ტელევიზია, რადიო)); - სხვა
კაპიტალური ინვესტიცია (სალიცენზიო გადასახადების გარეშე*)	თანხა (ლარში, დღგ-ს გარეშე).
სალიცენზიო გადასახადები	წლის განმავლობაში რადიოსიხშირული სპექტრის სარგებლობის სალიცენზიო გადასახადების ოდენობა, თანხა მიუთითეთ ლარებში.

* სალიცენზიო გადასახადები უნდა შევიდეს მხოლოდ მაუწყებლობის კონტენტის ქვეკატეგორიაში

ფორმა 1.4 (საჩივრები)

ივსება კვარტალში ერთხელ, შესაბამისი პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღისა (არ არის სავალდებულო მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირებისათვის)

ველი	განმარტება
მომსახურება	იხ. კლასიფიკატორი 2
საჩივრის კატეგორია	იხ. კლასიფიკატორი 3
საჩივრის მიზეზი	<p>აბონენტის შეცდომა კომპანიის მიზეზით</p> <p>მესამე მხარის მიზეზით</p>
საჩივრების რაოდენობა	სულ საჩივრების რაოდენობა
დაკმაყოფილდა	დაკმაყოფილებული საჩივრების რაოდენობა
არ დაკმაყოფილდა	დაუკმაყოფილებელი საჩივრების რაოდენობა
განუხილავია	განუხილველი საჩივრების რაოდენობა. იგულისხმება საჩივრები, რომლებიც არ ექვემდებარება განხილვას არარელევანტური შინაარსის გამო.

ფორმა 1.5 (მაუწყებლის დაფინანსების წყაროები)
 ივსება კვარტალში ერთხელ, შესაბამისი პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 15
 კალენდარული დღისა

ველი	განმარტება
თვე	კვარტლის შესაბამისი თვეები. თითოეული თვის მონაცემები ივსება ცალ-ცალკე
მაუწყებლობის სახე	ტელევიზია / რადიო
დაფინანსების წყაროს სახეობა	რეკლამა სპონსორობა ტელეშოფინგი მაუწყებლის მფლობელის შემოწირულობა სხვა პირების შემოწირულობა ინტერაქტივი განცხადებები კონტენტის რეალიზება ტექნიკური მომსახურება საეთერო დროის გაყიდვა პროდუქტის განთავსება არქივის გაქირავება ვებ-ბანერით მიღებული შემოსავალი სახელმწიფო დაფინანსება სხვა შენიშვნა: 1. ვებ-ბანერით მიღებული შემოსავალი უნდა მიუთითოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მაუწყებლობა ხორციელდება ინტერნეტის საშუალებით და ვებ-ბანერი განთავსებულია იმ გვერდზე, რომელზეც ხორციელდება მაუწყებლობა 2. „სახელმწიფო დაფინანსების“ მნიშვნელობას უთითებენ მხოლოდ საზოგადოებრივი მაუწყებლები
შემოსავლის ოდენობა	შესაბამისი თანხა ლარებში
შენიშვნა	შენიშვნის ველში შესაძლებელია მიუთითოთ “სხვა “ შემოსავალი დაფინანსების რა წყაროდან მიიღეთ

ფორმა 1.6 მაუწყებლისთვის გაწეული სასყიდლიანი და უფასო მომსახურება
 ივსება კვარტალში ერთხელ, შესაბამისი პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 15
 კალენდარული დღისა

ველი	განმარტება
------	------------

თვე	კვარტლის შესაბამისი თვეები. თითოეული თვის მონაცემები ივსება ცალ-ცალკე
მაუწყებლობის სახე	ტელევიზია / რადიო
მომსახურების სახე	მაუწყებლისთვის გაწეული მომსახურების სახე
ფასიანი/უფასო მომსახურება	ფასიანი/უფასო
მომსახურების ღირებულება	მაუწყებლისთვის გაწეული მომსახურების ღირებულება
შენიშვნა	შენიშვნის ველში, უფასო მომსახურების შემთხვევაში, მიუთითეთ გაწეული მომსახურების სავარაუდო საბაზრო ღირებულება

ფორმა 1.7.

იმ პირთა სია, რომელთა მიერ გაწეულმა დაფინანსებამ (რეკლამის ან ტელეშოფინგის განთავსებით, სპონსორობით, გაწეული მომსახურებით ან შეწირულობით ცალ-ცალკე) კვარტალურად გადაამეტა 7000 ლარს ივსება კვარტალში ერთხელ, შესაბამისი პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისა

ველი	განმარტება
კვარტალი	საანგარიშო კვარტალი
მაუწყებლობის სახე	ტელევიზია / რადიო
ფიზიკური/იურიდიული პირი	ფიზიკური/იურიდიული პირი (რეკლამის ან ტელეშოფინგის დამკვეთი (არა სარეკლამო კომპანია), სპონსორი, შემომწირველი, მომსახურების უშუალოდ გამწვევი პირი)
პირის საიდენტიფიკაციო ნომერი	ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადი ნომერი, იურიდიული პირის შემთხვევაში - საგადასახადო კოდი
რეგისტრაციის ქვეყანა	ფიზიკური/იურიდიული პირის რეგისტრაციის ქვეყანა
მომსახურების სახე	რეკლამა სპონსორობა ტელეშოფინგი მაუწყებლის მფლობელის შემოწირულობა სხვა პირების შემოწირულობა ინტერაქტივი განცხადებები კონტენტის რეალიზება გადაცემის განთავსება ტექნიკური მომსახურება საეთერო დროის გაყიდვა სხვა
სეგმენტი	7,000-50,000 50,001-100,000 100,001-500,000 500,000+
შენიშვნა	1. თუ რეგისტრაციის ქვეყანა არ არის საქართველო, შენიშვნის ველში მიუთითეთ პირის იურიდიული ან/და ფაქტობრივი მისამართი და საკონტაქტო რეკვიზიტები 2. თუ მომსახურება გაწეულ იქნა კობრენდინგის (კობრენდინგი – 2 ან მეტი ბრენდის მონაწილეობით ერთი პროდუქტის ან მომსახურების წარმოება/მიწოდება) სახით, პირის საიდენტიფიკაციო ნომრად მიუთითეთ თანხის

უშუალოდ გადამხდელი (სარეკლამო კომპანია ან სხვა პირი), ხოლო შენიშვნის ველში მიუთითეთ კობრენდინგში მონაწილე პირების ვინაობა

ფორმა 1.8. ფინანსური მაჩვენებლები

ივსება წელიწადში ერთხელ, წლის დასრულებიდან არაუგვიანეს მომდევნო წლის 20 აპრილისა ფორმას ავსებენ მხოლოდ ის ელექტრონული კომუნიკაციებში ავტორიზებული პირები. რომელთა წლიური შემოსავალი აღემატება 1,000,000 ლარს

ველი	
შემოსავლები	
საოპერაციო ხარჯები (საპროცენტო ხარჯის და ცვეთის და ამორტიზაციის გარეშე)	
EBITDA (მოგება ცვეთამდე, პროცენტის და მოგების გადასახადის გადახდამდე)	
ცვეთა და ამორტიზაცია	
საპროცენტო ხარჯები	
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	
მოგება დაბეგვრამდე	
მოგების გადასახადი	
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში	
გრძელვადიანი აქტივები (ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები)	
მოკლევადიანი აქტივები	
გრძელვადიანი ვალდებულებები	
მოკლევადიანი ვალდებულებები	
სესხები (გრძელვადიანი და მოკლევადიანი)	
რეზერვები	
საწესდებო კაპიტალი	
გაუნაწილებელი მოგება/აკუმულირებული ზარალი	
სულ კაპიტალი	
CAPEX-კაპიტალდაბანდებები	
ბიუჯეტში გადახდილი გადასახადები: დღგ	
ბიუჯეტში გადახდილი გადასახადები: საშემოსავლო	
ბიუჯეტში გადახდილი გადასახადები: მოგების	
ბიუჯეტში გადახდილი გადასახადები: ქონების	
ბიუჯეტში გადახდილი გადასახადები: აქციზი	
ბიუჯეტში გადახდილი გადასახადები: სხვა გადასახადები	
შესაბამისი აუდირებული ფინანსური ანგარიში pdf ფორმატში (ზულალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად)	

შენიშვნა: აქტივების ჯამი ტოლი უნდა იყოს ვალდებულებების და სულ კაპიტალის ჯამის

ფორმა 1.9. რეგულირების საფასურის გაანგარიშების ფორმა

ივსება ყოველთვიურად, შესაბამისი პერიოდის დასრულებიდან მომდევნო თვის 20 რიცხვამდე (ჩათვლით)

ველი	განმარტება
თვე	საანგარიშო თვე
ელექტრონული კომუნიკაციებიდან მიღებული შემოსავალი	ელექტრონული კომუნიკაციებიდან მიღებული შემოსავალი (დღგ-სგარდა), რომელიც ექვემდებარება რეგულირების საფასურის დარიცხვას (0.75%)
მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავალი	მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავალი (დღგ-ს გარდა), რომელიც ექვემდებარება რეგულირების საფასურის დარიცხვას (0.5%)

1.10 ინფორმაცია საჩივრების შესახებ

ივსება თვეში ერთხელ, შესაბამისი პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღისა ავსებენ მხოლოდ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირები არ წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოს

ინფორმაცია მომხმარებლის მიერ მომსახურების მიმწოდებელთან დაფიქსირებული პრეტენზიის/საჩივრის შესახებ, მომსახურების გაწევისას დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნით (მათ შორის, პრობლემებზე, რომლებიც მომსახურების მიმწოდებელმა, მიუხედავად მომხმარებლის მომართვისა, არ აღმოფხვრა)

ველი	დასაშვები მნიშვნელობები
თვე	კვარტლის შესაბამისი თვე; (შენიშვნა: ივსება თითოეული თვის მონაცემი)
* საჩივრის მიღების ფორმა ¹	<p>სატელეფონო ზარი</p> <p>ელ. ფოსტა / სოციალური ქსელი; სხვა ელექტრონული ფორმით</p> <p>კომპანიაში წერილობით წარმოდგენილი წერილი</p>
* მომსახურება ²	<p>ფიქსირებული სადენიანი ხმოვანი მომსახურება</p> <p>ფიქსირებული უსადენო ხმოვანი მომსახურება</p> <p>VoIP მომსახურება</p> <p>მობილური ხმოვანი მომსახურება</p> <p>ფიქსირებული სადენიანი მონაცემთა გადაცემით/ინტერნეტით მომსახურება</p> <p>ფიქსირებული უსადენო მონაცემთა გადაცემით/ინტერნეტით მომსახურება</p> <p>მობილური მონაცემთა გადაცემა მომსახურება</p> <p>როუმინგული მომსახურება</p> <p>მაუწყებლობის ტრანზიტი</p> <p>კომბინირებული შეთავაზებები (როცა საჩივარი ეხება კომბინაციის პირობის დარღვევას და არ იკვეთება რომელიმე კონკრეტული მომსახურების პრობლემა)</p> <p>სხვა</p>
* საჩივრის კატეგორია ³	<p>კავშირის წყვეტა - ერთჯერადი ან განმეორებადი</p> <p>მომსახურების ხარვეზით მიწოდება (შენიშვნა: ეს პუნქტი აგრეთვე უნდა მოიცავდეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 10 მაისის N4 დადგენილებით დამტკიცებული „ინტერნეტმომსახურების მიწოდების ხარისხის განსაზღვრისა და შემოწმების წესებით“ დადგენილ პარამეტრებთან შეუსაბამობის შემთხვევებსაც.)</p> <p>მომსახურების პირველადი ჩართვა/გააქტიურება</p> <p>მომსახურების პირობების (პაკეტების) შეცვლა</p> <p>კომპანიის მხრიდან მომსახურების შეზღუდვა/შეწყვეტა</p> <p>მომსახურების შეწყვეტაზე / მომსახურების აღდგენაზე/ მომსახურების დროებით შეჩერების მოთხოვნაზე უარი</p> <p>მომხმარებლის არასათანადო ინფორმირება მომსახურების პირობების შესახებ</p> <p>პორტირება</p> <p>სატელეკომუნიკაციო მომსახურების საფასურის დარიცხვის სისწორე (შენიშვნა: ისეთი დარიცხვების სისწორე, რომელიც არ არის დაკავშირებული მომსახურების მიწოდების ხარვეზის გამო თანხის კორექციასთან)</p> <p>არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისგან დაცვა</p> <p>მომსახურების მიმწოდებელი კომპანიის თანამშრომლების მომსახურებაზე პრეტენზია</p> <p>აპარატურის დაზიანების ან/და ჩაუბარებლობის გამო ჯარიმების დარიცხვის სისწორე</p>

	ჯარიმების დარიცხვის სისწორე (ჯარიმების, რომელიც არ არის გათვალისწინებული ზედა პუნქტში)
	სხვა
* საჩივრის მიზეზი	აბონენტის მიზეზით კომპანიის მიზეზით (შენიშვნა: მათ შორის აბონენტისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული ამათუიმ წარმოების მოწყობილობების პრობლემები) მესამე მხარის მიზეზით სხვა
* საჩივრების რაოდენობა	მხოლოდ მთელი დადებითი რიცხვითი მნიშვნელობები (შენიშვნა: სულ საჩივრების რაოდენობა)
* დაკმაყოფილდა	მხოლოდ მთელი დადებითი რიცხვითი მნიშვნელობები (შენიშვნა: დაკმაყოფილებული საჩივრების რაოდენობა)
* ქმედება საჩივრის დასაკმაყოფილებლად	კომპენსაცია (შენიშვნა: აქ უნდა შედიოდეს როგორც მხოლოდ კომპენსაცია, ასევე, ერთდროულად - ხარვეზის აღმოფხვრა და კომპენსაცია) თანხის კორექცია (შენიშვნა: აქ უნდა შედიოდეს როგორც მხოლოდ თანხის კორექცია, ასევე ერთდროულად - ხარვეზის აღმოფხვრა და თანხის კორექცია) ხარვეზის აღმოფხვრა კომპენსაციისა და თანხის კორექციის გარეშე ხელშეკრულების შეწყვეტა სხვა
* არ არის განხილული	მხოლოდ მთელი დადებითი რიცხვითი მნიშვნელობები (შენიშვნა: საჩივრების რაოდენობა, რომელიც არ არის განხილული)
* არ დაკმაყოფილდა	მხოლოდ მთელი დადებითი რიცხვითი მნიშვნელობები (შენიშვნა: საჩივრების რაოდენობა, რომელიც არ არის დაკმაყოფილებული)

* - აღნიშნულია სავალდებულო ველები

¹შენიშვნა: ერთ პრობლემასთან დაკავშირებით საჩივრის რამდენიმე ზარის (ან ელ. ფოსტით/სოციალური ქსელით რამდენიმე წერილის, ან კომპანიაში წერილობით წარმოდგენილი რამდენიმე წერილის) მიღების შემთხვევაში, საჩივრის რაოდენობაში უნდა დაფიქსირდეს როგორც ერთი საჩივარი.

²შენიშვნა: მომსახურებების კატეგორიაში საჩივარი ფიქსირდება იმ მომსახურებაზე, რომელზეც დაფიქსირდა პრობლემა და არა ყველა ის მომსახურება, რომელთა პრობლემაც, ერთი კონკრეტული მომსახურების პრობლემამ გამოიწვია. მაგალითად, თუ ინტერნეტ მომსახურების პრობლემა იწვევს მაუწყებლობის ტრანზიტული მომსახურების პრობლემას, პრობლემა უნდა დაფიქსირდეს მხოლოდ ინტერნეტ მომსახურებაზე. მაგრამ თუ ერთიდაიგივე საჩივრით ფიქსირდება ორი მომსახურების პრობლემა, მაგალითად, ინტერნეტ მომსახურების სიჩქარის და ხმოვანი მომსახურების პრობლემა, რომელიც ინტერნეტ მომსახურებასთან კავშირში არ არის, ცალ-ცალკე, ორივე პრობლემაზე უნდა დაფიქსირდეს.

³შენიშვნა: საჩივრის კატეგორიაში უნდა დაფიქსირდეს ის მიზეზი, რომელიც არის საჩივრის გამომწვევი ამოსავალი მიზეზი. მაგალითად, თუ აბონენტს პაკეტის ცვლილების პრობლემა აქვს, პროვაიდერის თანამშრომლის(ოპერატორის) მიზეზით (არ შეუცვალა პაკეტი), საჩივარი უნდა ჩაითვალოს "მომსახურების მიმწოდებელი კომპანიის თანამშრომლების (ოპერატორების) მომსახურებაზე პრეტენზია" კატეგორიაში. თუმცა, თუ ერთი საჩივრის ფარგლებში არის პაკეტის ცვლილების პრობლემა(რომელიც არ არის გამოწვეული პროვაიდერის თანამშრომლის მიზეზით) და ამასთან, აბონენტს აქვს გარკვეული პრეტენზია თანამშრომლის მომსახურებაზე, ეს ორი საჩივარი ცალ-ცალკე უნდა დაფიქსირდეს.

ფორმა 2. მოძრავი საკომუნიკაციო ქსელის გამოყენებით გაწეული საცალო მომსახურება

ფორმა 2.1. ძირითადი მაჩვენებლები

ივსება ყოველთვიურად, შესაბამისი პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღისა

ველი	განმარტება
ბრენდი	მაგთი, ბალი, ბანი, ჯეოსელი, ლაი-ლაი, ბილაინი
ტექნოლოგია	GSM*, CDMA 850, WiMax, MVNO**
	* 4G განიხილეთ GSM-ად

	**MVNO - ვირტუალური მობილური ოპერატორი (Mobile Virtual Network Operator)
ხელშეკრულების ტიპი	იურიდიული (გარდა კონსოლიდირებულისა), ფიზიკური პირი ან კონსოლიდირებული ტენდერი
მომსახურების ტიპი	P2P ან M2M/IoT P2P - (Person-to Person) - ტრადიციული მობილური მომსახურება (მობილური მომსახურებები, გარდა M2M/IoT მომსახურებებისა) M2M/IoT - M2M (Machine-to-Machine) - მოწყობილობებს შორის კავშირი; IoT(Internet of Things) - საგანთა ინტერნეტი M2M/IoT აბონენტი გულისხმობს აბონენტს, რომლის ტერმინალური მოწყობილობაც არის სწრაფი გადახდის აპარატი, ბანკომატი, სანავიგაციო სისტემა, <i>კვებიანი კამერები</i> , <i>ელექტრომოწყობილობები</i> და ა.შ. არ განიხილება USB მოდემები და პლანშეტები
გადახდის ტიპი	წინასწარი ან შემდგომი გადახდა იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი არის შერეული გადახდის ტიპის (მაგ. თუ იგი კორპორატიული აბონენტია წინასწარი გადახდის პირადი და კორპორატიული შემდგომი გადახდის ანგარიშებით), მიაკუთვნეთ შემდგომ გადახდას
რეგისტრირებული აბონენტები	შესაბამის პერიოდის (თვე, კვარტალი) ბოლოსთვის აბონენტთა (SIM ბარათთა) რაოდენობა, ვისაც ხელშეკრულების საფუძველზე შეეძლო კომპანიისგან მომსახურების მიღება (კომპანიის თანამშრომლების ჩათვლით და სატესტო ბარათების ჩათვლელად)
აქტიური აბონენტები ა ტიპი	აბონენტთა (SIM ბარათთა) რაოდენობა, რომელთაც შესაბამისი პერიოდის (თვე, კვარტალი) განმავლობაში ერთხელ მაინც ისარგებლეს კომპანიის მომსახურებით (განახორციელეს ან მიიღეს ზარი, გააგზავნეს ან მიიღეს SMS/MMS, ისარგებლეს მონაცემთა გადაცემით ან სხვა დამატებითი მომსახურებით) ან დაერიცხათ სააბონენტო გადასახადი (კომპანიის თანამშრომლების ჩათვლით და სატესტო ბარათების ჩათვლელად).
აქტიური აბონენტები ბ ტიპი	აბონენტთა რაოდენობა (SIM ბარათთა), რომელთაც შესაბამისი პერიოდის (თვე, კვარტალი) განმავლობაში დაერიცხათ სააბონენტო გადასახადი ან ვინც ისარგებლა ფასიანი მომსახურებით
მფლობელთა რაოდენობა	იურიდიული პირების შემთხვევაში: იურიდიულ პირთა რაოდენობა, ვისაც საანგარიშგებო პერიოდში შეესაბამებოდა ერთი მაინც ა ტიპის აბონენტი. იურიდიული პირის იდენტიფიკაცია მოახდინეთ საგადასახადო კოდის (TIN- Tax Identity Number) სიზუსტით. (მაგ. თუ კომპანიას ჰყავს შვილობილი, რომელიც სარგებლობს იგივე საგადასახადო კოდით, იგი მიაკუთვნეთ მშობელ კომპანიას). ფიზიკური პირების შემთხვევაში - პირადი ნომრების რაოდენობა, ვისაც საანგარიშგებო პერიოდში შეესაბამებოდა ერთი მაინც ა ტიპის აბონენტი
3G და LTE მონაცემთა გადაცემის მომხმარებლების რაოდენობა	<i>აბონენტების რაოდენობა, რომელთაც შესაბამის პერიოდში ისარგებლეს როგორც 3G, ისე LTE მონაცემთა გადაცემის მომსახურებით.</i>
ახალი აბონენტები	საანგარიშო პერიოდში პირველად გამოჩენილი აქტიური ა ტიპის აბონენტების რაოდენობა

ახალი მფლობელები	სანგარიშო პერიოდში პირველად გამოჩენილი მფლობელების რაოდენობა
მონაცემთა გადაცემის აქტიური მომხმარებლები	ა ტიპის აბონენტები, რომელთაც შესაბამის პერიოდში ისარგებლეს მონაცემთა გადაცემის მომსახურებით. თუ მონაცემთა გადაცემის მომსახურება გამოყენებულ იქნა არაპირდაპირი დანიშნულებით (მაგ. MMS-ის გასაგზავნად), მას ნუ ჩათვლით მოხმარებად.
აქტიური 3G მონაცემთა გადაცემის მომხმარებლები	აბონენტები, რომელთაც შესაბამის პერიოდში ისარგებლეს 3G ან 3.5 G ინტერნეტით. თუ ინტერნეტი გამოყენებულ იქნა არაპირდაპირი დანიშნულებით (მაგ. MMS-ის გასაგზავნად), მას ნუ ჩათვლით ინტერნეტის მოხმარებად.
აქტიური LTE მონაცემთა გადაცემის მომხმარებლები	აბონენტები, რომელთაც შესაბამის პერიოდში ისარგებლეს LTE მონაცემთა გადაცემით. თუ მონაცემთა გადაცემა გამოყენებულ იქნა არაპირდაპირი დანიშნულებით (მაგ. MMS-ის გასაგზავნად), მას ნუ ჩათვლით ინტერნეტის მოხმარებად.
აქტიური პლანშეტების რაოდენობა	მობილური ოპერატორის ქსელში ჩართული პლანშეტების რაოდენობა, რომელთაც შესაბამისი პერიოდის (თვე, კვარტალი) განმავლობაში ერთხელ მაინც ისარგებლეს კომპანიის მომსახურებით ან დაერიცხათ სააბონენტო გადასახადი (კომპანიის თანამშრომლების პლანშეტების ჩათვლით და სატესტო პლანშეტების ჩათვლელად).
აქტიური USB მოდემების რაოდენობა	მობილური ოპერატორის ქსელში ჩართული USB მოდემების რაოდენობა, რომელთაც შესაბამისი პერიოდის (თვე, კვარტალი) განმავლობაში ერთხელ მაინც ისარგებლეს კომპანიის მონაცემთა გადაცემის მომსახურებით ან დაერიცხათ სააბონენტო გადასახადი (კომპანიის თანამშრომლების USB მოდემების ჩათვლით და სატესტო USB მოდემების ჩათვლელად).
SMS მომხმარებლები	აბონენტების რაოდენობა, ვინც შესაბამის პერიოდში გააგზავნა SMS
MMS მომხმარებლები	აბონენტების რაოდენობა, ვინც შესაბამის პერიოდში გააგზავნა MMS
საერთაშორისო ზარების მომსახურების მომხმარებლები	აბონენტების რაოდენობა, ვინც შესაბამის პერიოდში ისარგებლა გამავალი საერთაშორისო ზარით
გასული როუმერები	(საკუთარი) აბონენტების რაოდენობა, ვინც შესაბამის პერიოდში ისარგებლა როუმინგული მომსახურებით
ჩამოსული როუმერები	საქართველოში ჩამოსული (ვიზიტორი) აბონენტების რაოდენობა, ვინც შესაბამის პერიოდში ისარგებლა როუმინგული მომსახურებით (იგულისხმება უცხო ქვეყნის მობილური ოპერატორის აბონენტები)
საცალო შემოსავალი	აბონენტების მომსახურებიდან მიღებული საცალო შემოსავალი
საცალო დღგ	შესაბამისი დღგ
საცალო აქციზი	შესაბამისი აქციზი

ფორმა 2.2. აბონენტები კვარტალში

ივსება კვარტალურად, შესაბამისი პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღისა

ველი	განმარტება
ბრენდი	იხ. ფორმა 2.1
ტექნოლოგია	იხ. ფორმა 2.1
ხელშეკრულების ტიპი	იხ. ფორმა 2.1
მომსახურების ტიპი	იხ. ფორმა 2.1

გადახდის ტიპი	იხ. ფორმა 2.1
რეგისტრირებული აბონენტები	იხ. ფორმა 2.1
აქტიური აბონენტები ა ტიპი	იხ. ფორმა 2.1
აქტიური აბონენტები ბ ტიპი	იხ. ფორმა 2.1
მფლობელთა რაოდენობა	იხ. ფორმა 2.1
3G და LTE მონაცემთა გადაცემის მომხმარებლების რაოდენობა	იხ. ფორმა 2.1
აქტიური მონაცემთა გადაცემის მომხმარებლები	იხ. ფორმა 2.1
აქტიური 3G მონაცემთა გადაცემის მომხმარებლები	იხ. ფორმა 2.1
აქტიური LTE მონაცემთა გადაცემის მომხმარებლები	იხ. ფორმა 2.1
აქტიური პლანშეტების რაოდენობა	იხ. ფორმა 2.1
აქტიური USB მოდემების რაოდენობა	იხ. ფორმა 2.1
SMS მომხმარებლები	იხ. ფორმა 2.1
MMS მომხმარებლები	იხ. ფორმა 2.1
საერთაშორისო ზარების მომსახურების მომხმარებლები	იხ. ფორმა 2.1
გასული როუმერები	იხ. ფორმა 2.1
ჩამოსული როუმერები	იხ. ფორმა 2.1

ფორმა 2.3. ტრაფიკი

ივსება ყოველთვიურად, შესაბამისი პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღისა მხოლოდ გამავალი ტრაფიკი

ველი	განმარტება	
ბრენდი	იხ. ფორმა 2.1	
ტექნოლოგია	იხ. ფორმა 2.1	
ხელშეკრულების ტიპი	იხ. ფორმა 2.1	
მომსახურების ტიპი	იხ. ფორმა 2.1	
გადახდის ტიპი	იხ. ფორმა 2.1	
მიმართულება	განიხილება მხოლოდ გამავალი ტრაფიკი სატესტო ზარების გამოკლებით. განიხილეთ გამავალი ტრაფიკის შემდეგი მიმართულებები:	
	Mobile CUG	შეავსეთ მხოლოდ იმ კორპორატიული აბონენტებისთვის, ვინც მობილური CUG (Closed User Group) ზარებისთვის სარგებლობს სპეციალური ტარიფით. იმ შემთხვევაში, თუ სააბონენტო გადასახადის სანაცვლოდ, სხვა შეღავათებთან ერთად, აბონენტს საშუალება აქვს შეუზღუდავად ისაუბროს ჯგუფის (CUG) შიგნით, დასაშვებია სააბონენტო გადასახადი სრულად მიუთითოთ CUG ზარების შესაბამის შემოსავლად.
	Fixed CUG	შეავსეთ მხოლოდ იმ კორპორატიული აბონენტებისთვის, ვინც ფიქსირებული CUG (Closed User Group) ზარებისთვის სარგებლობს სპეციალური ტარიფით. იმ შემთხვევაში, თუ სააბონენტო გადასახადის სანაცვლოდ, სხვა შეღავათებთან ერთად, აბონენტს საშუალება აქვს შეუზღუდავად ისაუბროს ჯგუფის (ფიქსირებული CUG) შიგნით, დასაშვებია სააბონენტო გადასახადი სრულად მიუთითოთ CUG ზარების შესაბამის შემოსავლად.

	შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ სააბონენტო გადასახადის სანაცვლოდ აბონენტი სარგებლობს სპეციალური ტარიფით როგორც მობილური, ისე ფიქსირებული CUG ზარებისთვის და სააბონენტო გადასახადს უთითებთ CUG ზარების შესაბამის შემოსავლად, გაითვალისწინეთ, რომ სააბონენტო გადასახადი მობილურ და ფიქსირებულ CUG ზარებს შორის ისე უნდა გაანაწილოთ, რომ არ მოხდეს დუბლირება
Mobile-onnet	საკუთარი მობილური აბონენტების მიმართულებით განხორციელებული ზარები იმ შემთხვევაში, თუ სააბონენტო გადასახადის სანაცვლოდ, სხვა შეღავათებთან ერთად, აბონენტს საშუალება აქვს შეუზღუდავად ისაუბროს Mobile-onnet მიმართულებით, დასაშვებია სააბონენტო გადასახადი სრულად მიუთითოთ Mobile-onnet-ის შესაბამის შემოსავლად.
Mobile-offnet	სხვა ოპერატორების მობილური აბონენტების მიმართულებით განხორციელებული ზარები
Fixed-onnet	საკუთარი ფიქსირებული აბონენტების მიმართულებით განხორციელებული ზარები
Fixed-offnet	სხვა ოპერატორების ფიქსირებული აბონენტების მიმართულებით განხორციელებული ზარები
International	საერთაშორისო ზარები
Free	უფასო ზარები. მათ შორის: უფასო ინტერაქტიული ზარები, 112
Other	ზარები, რომლებიც ზემოთ მითითებულ კატეგორიებს არ განეკუთვნებიან
აბონენტები	აბონენტების რაოდენობა, ვინც ისარგებლა შესაბამისი სერვისით
წუთები	შესაბამისი წუთების რაოდენობა
ზარების რაოდენობა	შესაბამისი ზარების რაოდენობა
შემოსავალი	შესაბამისი შემოსავალი. თუ აბონენტი სააბონენტო გადასახადის სანაცვლოდ ერთ ან რამდენიმე მიმართულებაზე იღებს სპეციალურ ტარიფს, სააბონენტო გადასახადიდან მიღებული შემოსავალი გადაანაწილეთ შესაბამის მიმართულებებზე
დღე	შესაბამისი დღე
აქციზი	შესაბამისი აქციზი

ფორმა 2.4. სატარიფო გეგმები

ივსება ყოველთვიურად, შესაბამისი პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღისა მხოლოდ ფიზიკური პირებისთვის

ველი	განმარტება
ბრენდი	იხ. ფორმა 2.1
ტექნოლოგია	იხ. ფორმა 2.1
მომსახურების ტიპი	იხ. ფორმა 2.1
გადახდის ტიპი	იხ. ფორმა 2.1
სატარიფო გეგმა	სატარიფო გეგმის დასახელების აბრევიატურა. სატარიფო გეგმა აქციისგან განასხვავებთ შემდეგი კრიტერიუმით: აბონენტი მხოლოდ ერთ სატარიფო გეგმაში შეიძლება იყოს ჩართული, ამავე დროს იგი ერთი სატარიფო გეგმის ფარგლებში შესაძლოა რამდენიმე აქციაში ერთდროულად მონაწილეობდეს. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში აბონენტთა რაოდენობა სატარიფო გეგმების მიხედვით შეიძლება დაიყოს არათანამკვეთ ჯგუფებად. თუ საანგარიშო პერიოდში აბონენტმა რამდენიმეჯერ შეიცვალა სატარიფო გეგმა, მის სატარიფო გეგმად მიიჩნით უკანასკნელი სატარიფო გეგმა.

	იმისდა მიუხედავად ოპერატორი რას უწოდებს სატარიფო გეგმას ან აქციას, გამოიყენეთ მითითებული განმარტება.
კომბინირებული შეთავაზება	<p>ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სატარიფო გეგმა არის რომელიმე კომბინირებული შეთავაზების ნაწილი. კომბინირებული შეთავაზებაში იგულისხმება ისეთი შეთავაზება, რომლებშიც ერთობლივად მონაწილეობს 2 ან მეტი მომსახურება შემდეგი ოთხი მომსახურებიდან:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მობილური მომსახურება 2. ფიქსირებული ტელეფონია 3. ფიქსირებული ინტერნეტი 4. მაუწყებლობის ტრანზიტი <p>ველის მნიშვნელობად მიუთითეთ კომბინირებულ შეთავაზებაში არსებული მომსახურებების რაოდენობა. მაგალითად, თუ კომბინირებულ შეთავაზებაში მონაწილეობს ა) მობილური მომსახურება ბ) ფიქსირებული ინტერნეტი და გ) მაუწყებლობის ტრანზიტი, მიუთითეთ „3“.</p> <p>დასაშვები მნიშვნელობები: 2, 3, 4.</p>
სატარიფო გეგმის სააბონენტო გადასახადი	<p>მიუთითეთ სატარიფო გეგმის სააბონენტო გადასახადი ასეთის არსებობის შემთხვევაში. თუ სატარიფო გეგმას სააბონენტო გადასახადი არ აქვს, მიუთითეთ 0.</p> <p>იმ შემთხვევაში, თუ სატარიფო გეგმა არის კომბინირებული შეთავაზების შემადგენელი კომპონენტი, მიუთითეთ კომბინირებული შეთავაზების სააბონენტო ერთობლივი გადასახადი.</p> <p>მაგალითად, თუ კომბინირებულ შეთავაზებაში მონაწილეობს ა) მობილური მომსახურება ბ) ფიქსირებული ინტერნეტი და გ) მაუწყებლობის ტრანზიტი და ამ ყველაფერში ერთიანად თვეში იხდით 30 ლარს, მიუთითეთ 30 ლარი.</p>
აბონენტები	სატარიფო გეგმაში ჩართული აბონენტების რაოდენობა. თუ საანგარიშო პერიოდში აბონენტმა რამოდენიმეჯერ შეიცვალა სატარიფო გეგმა, მის სატარიფო გეგმად მივიჩნევთ უკანასკნელ სატარიფო გეგმას. გაითვალისწინეთ, რომ სატარიფო გეგმების მიხედვით აბონენტთა ჯამური რაოდენობა უნდა უდრიდეს ძირითად ცხრილში მითითებულ აბონენტთა რაოდენობას
შემოსავალი აქტივაციიდან	სატარიფო გეგმის გააქტიურებისთვის ერთჯერადად გადახდილი თანხით მიღებული შემოსავალი
სააბონენტო შემოსავალი	სატარიფო გეგმით სარგებლობისთვის პერიოდულად გადახდილი თანხებიდან მიღებული შემოსავალი
შემოსავალი	სატარიფო გეგმით მიღებული სრული შემოსავალი (აქტივაციის და სააბონენტო შემოსავლის ჩათვლით, დღგ-ს და აქციზის გარეშე). თუ სატარიფო გეგმა არის კომბინირებული შეთავაზების შემადგენელი კომპონენტი, კომბინირებული შეთავაზებით მიღებული შემოსავლიდან გამოყავით მობილური კომუნიკაციებიდან მიღებული შემოსავალი თქვენს მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.
დღგ	შესაბამისი დღგ
აქციზი	შესაბამისი აქციზი

ფორმა 2.5. აქციები/ფასდაკლებები
 ივსება ყოველთვიურად, შესაბამისი პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღისა
 მხოლოდ ფიზიკური პირებისთვის

ველი	განმარტება
ბრენდი	იხ. ძირითადი ცხრილი. ფორმა 2.1
ტექნოლოგია	იხ. ფორმა 2.1
გადახდის ტიპი	იხ. ძირითადი ცხრილი. ფორმა 2.1
აქცია/ფასდაკლება	<p>აქციის/ფასდაკლების დასახელების აბრევიატურა.</p> <p>აქციად ჩათვალეთ ნებისმიერი პირობა, რომლის ფარგლებშიც აბონენტი თუნდაც ერთი სერვისისთვის სარგებლობს არასტანდარტული ტარიფით. სატარიფო გეგმები და პაკეტები აქციებად არ განიხილოთ.</p> <p>აქციის მაგალითია მაგთის "აირჩიე შენი საჩუქრის" ფარგლებში "ერთ საყვარელ ნომერთან 5 თეთრად საუბარი", რომელიც დამოუკიდებელ აქციად უნდა განიხილოთ</p> <p>ფასდაკლების მაგალითია: ღამის საათებში ფასდაკლება, ფასდაკლება საერთაშორისო ზარებზე</p>
აბონენტები	საანგარიშო პერიოდში აბონენტთა რაოდენობა, ვინც ერთხელ მაინც ისარგებლა აქციის პირობებით
შემოსავალი აქტივაციიდან	აქციის/ფასდაკლების გააქტიურებისთვის ერთჯერადად გადახდილი თანხით მიღებული შემოსავალი
სააბონენტო შემოსავალი	აქციით/ფასდაკლების სარგებლობისთვის პერიოდულად გადახდილი თანხებიდან მიღებული შემოსავალი
შემოსავალი	აქციით/ფასდაკლებით მიღებული სრული შემოსავალი (აქტივაციის და სააბონენტოს ჩათვლით)
დღგ	შესაბამისი დღგ
აქციზი	შესაბამისი აქციზი

ფორმა 2.7. სატარიფო გეგმების და აქციების მოხმარება
 ივსება ყოველთვიურად, შესაბამისი პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღისა
 მხოლოდ ფიზიკური პირებისთვის

ველი	განმარტება
ბრენდი	იხ. ფორმა 2.1
ტექნოლოგია	იხ. ფორმა 2.1
მომსახურების ტიპი	იხ. ფორმა 2.1
გადახდის ტიპი	იხ. ფორმა 2.1
სატარიფო გეგმა	სატარიფო გეგმის დასახელების აბრევიატურა.
აქცია	აქციის დასახელების აბრევიატურა.
სერვისი	<p>გამავალი წუთობრივი ტრაფიკის მიმართულებები - მიმართულებების ჩამონათვალი იხ. ფორმა 2.3-ის მიმართულებების განმარტებაში</p> <p>SMS</p> <p>MMS</p> <p>Internet</p> <p>სხვა (დააკონკრეტეთ)</p>
სატარიფო გეგმაში/აქციაში შემავალი/არაშემავალი	<p>სატარიფო გეგმაში შემავალი - სატარიფო გეგმაში შემავალი იმ ერთეულების მოხმარება, რომელშიც აბონენტი დამატებით თანხას არ იხდის. მაგალითად: "მაგთი 100"-ის შემთხვევაში სატარიფო გეგმაში შემავალი ქსელის გარეთ 300 წთ-ის მოხმარება.</p> <p>სატარიფო გეგმაში არაშემავალი - იმ ერთეულების მოხმარება, რომელშიც</p>

	აბონენტი დამატებით იხდის თანხას. მაგალითად, "მაგთი 100"-ის შემთხვევაში სატარიფო გეგმაში შემავალი ქსელის გარეთ 300 წთ-ის შემდგომ ქსელის გარეთა წუთების მოხმარება
აბონენტები	სერვისის მომხმარებელ აბონენტთა რაოდენობა
მოხმარება	სერვისის მოხმარება. მაგალითად, მაგთის "აირჩიე შენი საჩუქრის" ფარგლებში "ერთ საყვარელ ნომერთან 5 თეთრად საუბარის" შემთხვევაში - საყვარელ ნომერთან 5 თეთრად ნასაუბრები წუთების ჯამური ოდენობა.
შემოსავალი	შესაბამისი შემოსავალი
დღგ	შესაბამისი დღგ
აქციზი	შესაბამისი აქციზი

ფორმა 2.8. ინტერნეტი

ივსება ყოველთვიურად, შესაბამისი პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღისა

ველი	განმარტება
ბრენდი	იხ. ძირითადი ცხრილი. ფორმა 2.1
ტექნოლოგია	GSM, CDMA 850, WiMax, MVNO
აბონენტის ტიპი	საანგარიშო პერიოდის ბოლო მდგომარეობის შესაბამისად: ტელეფონი M2M/IoT პლანშეტი USB მოდემი სხვა
ხელშეკრულების ტიპი	იხ. ძირითადი ცხრილი. ფორმა 2.1
წინასწარი/შემდგომი გადახდის	იხ. ძირითადი ცხრილი. ფორმა 2.1
აბონენტები	აბონენტების რაოდენობა, ვინც ისარგებლა ინტერნეტ მომსახურებით.
ტრაფიკი (GB)	დაგენერირებული ჯამური ტრაფიკი (Download+Upload) გიგაბაიტებში
შემოსავალი	შესაბამისი შემოსავალი
დღგ	შესაბამისი დღგ
აქციზი	შესაბამისი აქციზი

ფორმა 2.9. SMS/MMS

ივსება ყოველთვიურად, შესაბამისი პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღისა მხოლოდ გამავალი მიმართულებით

ველი	განმარტება
ბრენდი	იხ. ძირითადი ცხრილი. ფორმა 2.1
ტექნოლოგია	იხ. ფორმა 2.1
ხელშეკრულების ტიპი	იხ. ძირითადი ცხრილი. ფორმა 2.1
მომსახურების ტიპი	იხ. ფორმა 2.1
გადახდის ტიპი	იხ. ძირითადი ცხრილი. ფორმა 2.1
მომსახურება (SMS/MMS)	SMS ან MMS
მიმართულება	განიხილება მხოლოდ გამავალი SMS/MMS. განიხილეთ გამავალი ტრაფიკის შემდეგი მიმართულებები: Mobile CUG შეავსეთ მხოლოდ იმ კორპორატიული აბონენტებისთვის, ვინც მობილური CUG (Closed

	User Group) SMS/MMS-თვის სარგებლობს სპეციალური ტარიფით.
Fixed CUG	შეავსეთ მხოლოდ იმ კორპორატიული აბონენტებისთვის, ვინც მობილური CUG (Closed User Group) SMS/MMS-თვის სარგებლობს სპეციალური ტარიფით.
Mobile-onnet	საკუთარი მობილურ აბონენტების მიმართულებით
Mobile-offnet	სხვისი მობილური აბონენტების მიმართულებით
Fixed-onnet	საკუთარი ფიქსირებულ აბონენტების მიმართულებით (მაგ. მაგთი ფიქსის მიმართულებით)
Fixed-offnet	სხვა ოპერატორის ფიქსირებული აბონენტების მიმართულებით (მაგ. მაგთიფიქსის)
International	საერთაშორისო SMS/MMS
Free	უფასო SMS/MMS
Special	დამატებული მომსახურებისთვის განკუთვნილი SMS/MMS (არასტანდარტული ტარიფით)
Other	SMS/MMS, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებს არ განეკუთვნება
აბონენტები	ა ტიპის აბონენტი
რაოდენობა	გაგზავნილი SMS/MMS-ების რაოდენობა
შემოსავალი	შესაბამისი შემოსავალი
დღე	შესაბამისი დღე
აქციზი	შესაბამისი აქციზი

ფორმა 2.10. საქართველოდან გასული როუმერები
ივსება ყოველთვიურად, შესაბამისი პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღისა

ველი	განმარტება
ბრენდი	იხ. ფორმა 2.1
ხელშეკრულების ტიპი	იხ. ფორმა 2.1
მომსახურების ტიპი	იხ. ფორმა 2.1
გადახდის ტიპი	იხ. ფორმა 2.1
შემომავალი/გამავალი	შემომავალი ან გამავალი. ინტერნეტის შემთხვევაში Download და Upload ერთიანად განიხილეთ როგორც Outgoing
მომსახურება	Voice/SMS/MMS/Internet
ქვეყანა	ქვეყანა, რომელსაც ეწვივნენ როუმერები
